№ 4 15 თებერვალი. 1863 წ.

— 13 —

დაბარება შეიძლება ტფი-
ლისითგან.
კანცელარიის ხაზინაში.
წერას, ... თაის სახლში.

# გუთნის-დედა

გამოიცემა თვეში
ერთხელ. ფასი ცალკე ნომრებზედ
ქაღალდის მოწერითათვის ერ-
თი მანეთი, ხოლო სხვა-
თათვის ორი მანეთი.

## მამულის ნაწარმოებისა და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

საეკონომიო, წლის აღწერა, ანუ ანბავი სასოფლო მამულის კეთებისა და სხვა კელობაების მდგომარეობისა კავკასიის მხარეში.

(განგრძელება.)

ღვინის და ბამბის შემდეგ ჩვენ უნდა მივყვეთ კელი მოთხრობისათვის აბრეშუმისა და ენდროს მდგომარეობაზედ, რომელთაც უჭირავთ საჩინო ადგილი ჩვენის ქვეყნის გამოსავალში, მაგრამ რადგანაც წარსულს (?) გუთნის-დედის ნომრებში იყო მრავალჯერ განხილული აბრეშუმის მდგომარეობა და ენდროზედაც ამავე ნომერში ვბეჭდავთ საკუთარ სტატიასა, ამისათვის ვარჩიეთ თავი დავანებოთ ამ საგნებსა და შევუდგეთ ანბავსა ხვნა-თესვის მდგომარეობაზედ საზოგადოდ. რასაკვირველია ასლა უდროო იქნებოდა ამბავი, თუ საით მხარეს როგორი მოსავალი იყო, საითკენ კარგათ მოვიდა ხორბალი, ქერი, ფეტვი ან სიმინდი, და საითკენ ცუდათ; ჩვენც არა გვაქვს ფიქრში ამ საგნების განხილვა და გვწადიან მხოლოდ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებსა, თუ რა ცვლილება მიეცა წარსან ხვნა თესვის საქმესა საზოგადოთ საქართველოში და რა უნდა გამოვიდეს ამ ცვლილებისაგან. ამ ცვლილებისაგან შესანიშნავათ მაგვაჩნია შემდგომი:

1) შემოტანა ჩვენ ქვეყანაში შუმანის გუთნისა.

2) შემოტანა სიმინდის საფქვავის მაშინისა.

3) დათესვა გამოსაცდელად ამერიკულის ადრეულა სიმინდისა და

4) დაწყება ანგლიელებისაგან სიმინდისხიდვისა მეგრელითგან და გურიითგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთ გუთანს იმისთანა ბედი არ შესვედრია ჩვენს ქვეყანაში, როგორც შუმანის გუთანსა. რაკი რომ გამოვიდა «კავკაზის» გაზეთში სტატია კნ. ივანე ბაგრატიონ--მუხრანსკისა ამ გუთნის გამოცდაზედ და ვარგისობაზედ და რაკი მამულის მართვის გამგებელობამ იკისრა იმის დაბარება მსურველთათვის, მაშინვე ყოველის მხრიდამ დაიწყეს თხოვნა შუმანის გუთნისა და ორიოთ თთვის განმავლობაში რიცხვი ამ მთხოვნელებისა ავიდა ოთხმოცდა ექვსამდე. ბევრი რომ არ იყოს, ერთი ოთხიოდე გუთანი ადრეც გამოცდილა ჩვენს ქვეყანაში, იმ ჰაზრით, რომ ისინი ახმარებინონ ჩვენის გუთნის მაგივრად, მაგრამ თვით გამოცდის მნახველების მეტს არავის არც გაუგონია რამე ამ გუთნებისა და დაბარება იმათი ფიქრადაც არავისმოსვლია. შუმანის გუთნის ამბავი მოედო მრთელს საქართველოს ახალციხიდამ დაჭერილი ბაქო დარბანდამდე, ისე მსწრაფლად, როგორც ერთი დიდი პოლიტიკური ცვლილების ამბავი. თავიდა პირველი საფუძველი ამ გვარის გამარჯვებისა რა საკვირველია ის არის რო, თვით გზა შუმანის გუთნის შემოტანისა მეტის მეტად ხერხიანად იყო არჩეული, ამასთან, როგორც გვითქვამს ამ სტატიის თავში, ახლა ჩვენი ხალხი უფრო მომზადებულია სასარგებლო საქმის მიღებისათვის, მინამ ადრინდელ დროებში. მაგრამ საქმე არც სისწრაფეა გამრავლებისა და არც რიცხვი დამბარებლებისა, საქმე თვით ღირსებაა გუთნისა და ამაზედ გვწადიან გამოვსთქვათ ჩვენი ჰაზრი· თვით დასაწყისშივე უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ არ გვინახავს ჩვენის თვალით შუმანის გუთანი მუშაობაში, და ამისათვის შევეხებით მხოლოდ იმ მხარესა და გამოვიტყვით მხოლოდ იმ ჰაზრებსა, რომლისათვისაც საკმაო არის შედარება ჩვენის და შუმანის გუთნის მოჰართულობისა, ანბავი შეტყობილი იმათგან, ვისაც უნახავს შუმანის გუთნის მუშაობა და სახოგადოდ რაც შეგვიტყვია ამ გუთნის მყიდველებისაგან. შუმანის გუთნები მოვიდა ტფილისში შარშან ზაფხულს, და რასაკვირველია იმათ დარიგებას შემდეგ საიმისო დრო არ გასულა ჯერა, რომ შეგვეტყო გადაწყვეტილად სად როგორ გამომდგარა და რა უკეთესობა შაუცნევიათ ჩვენს ძველებურ გუთანზედა. ტფილისითგან ამბავი მალე მოეფინება ხოლმე თვით განშორებულ სოფლებშიაცა, რადგანაც აქედამ ამბები ერთის მხრივ გაზეთებს მიაქვსთ და მეორეთ მგზავრებსა, რომელთაც სოფლებში მალე შეხვდება კაცი; სოფლებითგან ესე ადვილი არ-არის ამბის მოსვლა ტფილისში და მეტადრე ამისთანა საქმეზედ როგორც გუთნის მუშაობა. მაგრამ რაც უნდა ნაკლული იყოს გაგონილი ჩვენგან ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შუმანი გუთნის მუშაობაზედ. მაინც კიდევ საკმაოა რომლისამე მოსაზრებისათვის ამ საგნის შესახებ და ვგონობთ, განხილვა იმისი არ იქნება აქ უსარგებლო. უმეტეს ნაწილად კარგი ხმა ისმის შუმანის გუთნის გამოსადეგრობაზედ და ამტკიცებს იმ ღირსებაებსა, რომლისაგამოც ამოჩნდნენ იმთენი მსურველნი ამ გუთნის შეძინებისა. ერთ ადგილს, საიდამაცა გვაქვს ყველაზე სრული და სარწმუნო შენიშვნა შუმანის გუთნის გამოცდისა, გლეხებს ასე უთქვამთ: ხვნით კარგა ხნავსო და თუ მაგის მოხნულში პური მოვიდა, მაშინვე ხელს ავიღებთ ჩვენის გუთნებისაგან და მაგას ვიხმარებთო. ჩვენ ამას დაუმატებთ რო, თუ გუთანი კარგათ ხნავს, ის ასრულებს სრულად თავის საქმესა და სხვა ვეღარაფრის მონაწილეობა ვერ მაუმლიან მოსავლის მოყვანაში; მაშასადამე ჭაზრი გამოთქული გლეხებისაგან არის სრული ქება შუმანის გუთნისა. საკვირველიც არ არი: რვა და ათი უღლის მაგივრად შუმანის გუთანი ხნავს სამის უღლითა: გარჩევა მეტათ დიდია და თვალსაჩინო. ამასთან რამდენსამე ადგილას შუმანის გუთნით კარგათ მოუხნავთ ყამირიცა, რომელზედაც ადრე შეგვსმენია მრავალჯერ იჭვნეულება, სრულად უსაფუძვლო.

რიცხვი შუმანის გუთნის მომდურავთა მეტად მცირეა, მაგრამ ჩვენი ვალია არ გაუშვათ ისინიც უყურადღებოთა და გავშინჯოთ, რაზედ არის დამოკიდებული იმათი ჩივილი, მიზეზი სამდურავისა მდგომარეობს უფრო იმათში, ვისაც არ მოსწონებია გუთანი, ვინამც თვით გუთნის ვითარებაში. დიდი უბედურებაა რომ ჩვენ ხალხს ცოტათი ვერ დააჯერებ, როცა საქმე შეეხება ან მამულის უკეთეს მდგომარეობაში მოყვანასა და ან საზოგადოდ ყოველს გვარს განათლებასა და წარმატებასა და როცა წარმატებისათვის საჭირო მიმვრა მომვრა და ძველის ჩვეულების დატევება. ხმა სიბნელისა და უმრაობისა ჯერ კიდევ ღონივრად და დაუღლელად იმახის: ცვლილებამ არაფერი შეგვმატა აქამდინა და მომავალშიაც სიკეთე საეჭოაო. თუ კი ჯერ არ გამოლეულან ჩვენში იმ გვარი გვამები, რომელსაც არაფრად უჩანთ ცვლილება ზნეობითის მდგომარეობისა, მიღებული ჩვენში ბოლონდელ საუკუნეში და კადნიერად აღვიარებენ თავიანთ ჭაზრსა საქვეყნოთ, მაშ რაღა უნდა გვიკვირდეს, თუ ორიოდ მხვნელი არ გაიჭირებს თავს, რომ გარემოებით შეუფარდოს შუმანის გუთანი ჩვენ გუთანსა, და თუ დამთქნარებით იტყვის, სუ ერთიაო; ხეირიანი შვილი არც მგაყოფილაო, დიდი გარჩევა არა აქვსრაო? დიდი გარჩევა ამ გვარი მსაჯულებისთვალში ის იქნებოდა, როცა გუთ-

თანს თავს თავად მოუხნა უხაროთ და უმუშოთ, არც ცვეთა ჰქონოდა, არც მტვრევა და მუქთიც ეღირილიყო. იქნება მაშინ, თუ კიდევ სხვა რამ გარეგან ანგარიშებს არ დაემალათ, ეთქოთ; აი გუთანი ესა ეღირილაო, სწორეთ გუთანი ამისთანა გვინდოდაო. არ ვიცით, როდის მოვა დრო, რომ ესენი კმაყოფილნი გახდნენ და რომელიმე ახალი საქმე ეღირსოს იმათ მოწონებასა, მაგრამ ეს კი უნდა ვთქვათ--მამულის კეთების ანუ სხვა ხელობაების საქმეში სასწაულები ისე ხშირი და ადვილი არ არის, როგორც ზღაპრებში, და წარმატებას თვით განათლებულნი ხალხნი სთვლიან არა ერთი ოროობითა და ერთი ხუთობითა, არამედ მეასედის ნაწილითა, რომელსაცა ჩვენს ენაში ჯერ არა აქვს დამკვიდრებული სახელი. თუ რომელიმე იარაღი ორის ანუ სამის მეასედით აიაფებს მუშაობასა, მაშინ დიდის პატივით მიიღებენ ამ იარაღსა განათლებულნი ხალხნი და უკეთესობას სიმცირის გამო არავინ ერიდება, ამიტო რომ მაინც კიდევ უკეთესობა ჰქვიან.

უფრო ყურადღების ღირსია ჩივილი მუშანის გუთნის მომხმარებელთა, რომელთაც უცოდნელობის გამო ჯეროვანად ვერ უხმარებიათ გუთანი და ვერ უნახავთ ის სარგებლობა, რომელსაც მოელოდნენ. მაგრამ, აქაც გუთანმა რა ქნას? შარშანდელს გუთნის დედის ნომერში სრულად იყო აღწერილი, თუ როგორ უნდა მოექცნენ გუთანს როცა ამუშავებენ, და ვისაც უნდა, რომ კარგამოხნას, არ უნდა დაზარდეს და აასრულოს ყოველივე პუნქტი დარიგებისა. ყველა იარაღს, რაც უნდა უბრალო იყოს, ხერხი უნდა და ხმარების ცოდნა, თორე თვით საჩინო იარაღი ვერაფერს გაარიგებს უხერხო კაცის ხელში. ანგლიაში სადაც იარაღების მუშაობა ისეა გამრავლებული მიწის ხვნაში, როგორც ფაბრიკებში, იქაც ხშირია მაგალითი, რომ ერთი და იგივე იარაღი ერთ ადგილას კარგი გამომდგარიყოს, და მეორეს უვარგისი: ამისათვის იშვიათი არ, არი რომ ერთსა და იმავე მაშინაზედ სხვა და სხვა ამბავი ისმოდეს მამულის პატრონებისაგან. მაგალითად მოვიყვანთ სათიბ მაშინასა. ანგლიაში არის ამდრომში ორი სათიბი მაშინა, უმეტესად პატივცემული მამულის პატრონებისაგან: პირველი ვუდისა და მეორე ბიურჯესისა და კეისა. თუმცა ყველა კონკურსებში (*) ვუდის მაშინას უმჯობებია ბურჯესისასთვის და პირველი ჯილდო მიუღია, მაგრამ ანგლიის მამულის პატრონებს ჯერ აქამდისინ

(*) სიტყვას კონკურსს მრავალ-გვარი მნიშვნელობა აქვს, აქა ნიშნავს საქვეყნოდ გამოცდასა.

ნაასობა არ გაუთავებიათ, ზოგს ერთი უფრო მოსწონს, ზოგს მეორე. საკვირველიც არ არის. კონკურსებში მაშინას ამუშავებენ თვით გამკეთებლები, ანუ იმათი კაცები, რომელთაც სრულად იციან კარგი მაშინისა და ყოველის ცდით ცდილობენ გამოაჩინონ მაშინის ღირსება; კერძო მეურნეობში-კი ზოგს ერთი უფრო სახეიროდ მიაჩნია, ზოგს მეორე. ეს რვა წელიწადია რაც სათიბი მაშინა მოუგონიათ და აქამდის იმათი ერთი მეორეზედ უმჯობესობა ჯერ არ გადაწყვეტილა თვით ანგლიაშიაც. ამისი მცოდნე არას დროს არ უნდა გაჰკვირდეს თუ სხჳა და სხჳა ხმა შეიტყოს, ჩჳენში რომელისამე მაშინის ვარგისობაზედა, მეტადრე როცა მაშინის შემოტანის შემდეგ ასე ცოტა დროს გაუვლია.

ჩჳენ მოგვიტყვა მხოლოდ ერთი საფუძვლიანი წუნი შუმანის გუთანისა. ამბობენ და ჩჳენ სრულებით დარწმუნებით მოქმელისა, რომ რბილის ადგილის ეს გუთანი კარგათ ვერ აბრუნებს მიწასაო და კარგათ ვერ ჰსწმენდავს კვალსაო. ეს შენიშნულება მეათასედ გვიმტკიცებს ამ ჭეშმარიტებასა, რომ არსად ქვეყანაში არ არის იმისთანა გუთანი, რომელიც გამოსადეგი და მისაფერი იყოს ყოველს ადგილსა. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მრთელს ევროპაში არ არის იმისთანა გუთანი, რომელიც სრულად მოეწონოს ჩვენ მამულის-პატრონებსა და ასცილდეს დაწუნებასა. ერთი რამ წუნაცარი უთუოდ გამოაჩნდება: ზოგი გამოდგება სუსტი, ზოგი ძვირი, ზოგი ძნელი გასამართავი და სხ. უბედურება ის არის, რომ ჩვეულებრივი გუთანი ვერა გვყოფნის და ვეძებთ იმისთანასა, რომელიც ჯერ თვით ევროპაშიაც არ მოუგონებიათ. ჩჳენი მიწის ხვნა სრულად გუთანზედ არის მინდობილი და კარგს გუთანს მხოლოდ იმას ვეტყვით, როცა აასრულებს, იმისთანა საქმესა, რომელსაც არ ასრულებინებენ არც ერთს მხარეში. თავიანთის დიდის განათლებითა, ევროპელებს ჯერაც არ მოუგონიათ იმისთანა იარაღი, რომელიც მარტო ეყოფნიდეს მიწის გაფებასა. გუთნის გარდა ოთხითით ხუთი კიდევ სხჳა იარაღები აქჳსთ და რასაც გუთანი მიწის ხვნაში ნაკლულად უშვებს იმათ ასრულებინებენ. ამ გარეშე იარაღთაგანი გუთანსა შველის ზოგი მიწის გაჭრაში, ზოგი ბელტების დამსხვრევაში ზოგი მიწის არევაში, ზოგი ცუდი ბალახის ძირკვების ამოყრაში და სხ. ჩვენ გვინდა რომ ყველა საქმეები მარტო გუთანმა გაკეთოს, და აბა სად ვიშოვნით იმისთანა გუთანსა, თუკი ჯერ ევროპაშიაც არ მოუგონიათ. ერთი სიტყვით შუმანის გუთანს მქებელნი ჩჳენ უფრო საფუძვლიანნი გვგონია, ვიდრე იმისი დამარწმუნებელნი; ამათი რიცხვიც ცოტაა, ხშირე გამორჩევის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გარდა, რომელიც ექნებათ შუმანის გუთნის მსყიდველებსა, ამ გუთნის შემოტანა იმისთვისაც არის სასარგებლო, რომ ჩვენ მამულის პატრონები გაიცნობენ ევროპიულს გუთანსა, ასწონენ და შეუფარდებენ ჩვენს ძველებურს გუთანსა, ყურადღებით დაათვალიერებენ იმის მოქმედებასა და საზოგადოდ შეისწავლიან ხვნა თესვის პირობასა, ამიტომ რომ შეფარდება არის სწავლის წყარო: ეს არის ჩვენი ჰაზრი შუმანის გუთნის შემოტანაზედ; დიდათ დაავალებს რედაკციასა, ვინც შეატყობინებს თვისს გამოცდასა და თივსს ჰზრსა ამ გუთანზედ, რადგანაც მხოლოდ ამ გვარის გამოცდითა და პირუთნებელი შენიშვნითა წინ წასდგება საქმე. სიმინდის საბეგვი მაშინის საქმე უტყუარია და უშორველი; ეს მაშინა მიუცილებლად ყველას მოეწონება და მოსწონთ კიდეცა, ორი კაცი ან დედაკაცი დღეში ხუთ ექვს ტომარა სიმინდს ისე გამოჰბეგვენ ამ მაშინითა, რომ არც ერთი მარცვალი აღარ შერჩეს ტაროსა; ამასთან მაშინა ისეთი ადვილი სამუშავებელია, რომ ათის წლის ყმაწვილი დააბრუნებს· ვინც ხედავს, იმას ამბობს ყმაწვილებსაც გაართობს —და საქმესაც გააკეთებინებსო. საითაც სიმინდს ბევრსა სთესენ, ეს მაშინა დიდათ გაუადვილებს საქმესა. ერთ ტომარას სიმინდს ან ორსა კიდევ გაარჩევს კაცი ხელითა, მაგრამ სადაც წლის წლობამდინ სიმინდითა ჰკვებენ სახლობასა, იქ დიდი დრო იკარგება ხელის მუშაობითა და მაშინა შეჰმატებს დიდს ეკონომიასა. იმერეთისა და ოდიშისათვის მეტადრე სასარგებლოუნდა იყოს,

ამავე ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულა სიმინდის გამოცდასა, რომელიც მოატანინა შარშან ამერიკიდგან მამულის მართვის გამგებლობამ. შარშანვე ეს სიმინდი გამოსაცდელათ იყო დათესილი ქუთაისის სახემწიფო ბაღში და აგრეთვე დაურიგეს რამთენსამე მამულის პატრონებსა ქუთაისის ახლო; სამ თვეზედ და ადრეც სრულად მწიფდება ამ ჯინსის სიმინდი, თუმცა საზოგადო სიმინდი ოთხს და ხუთს თვესა ნდომულობს სრულის შემოსვლისათვის. ვისაც დაუთესია იმედეულობენ, ამ ჯინსით ორი მოსავალი აიღონ ერთის ადგილითგან, რადგანაც ამის დათესა შეიძლება ქერის გაჭრის შემდეგაცა. მართებლობას ჰსწადიან მოატანინოს სხვა ადრეულა სიმინდებიცა იტალიიდგან და დაურიგოს მამულის პატრონებსა. მოვიდა კიდევ ჩინეთიდგან ადრეულა ბრინჯი და დარიგდა სხვა და სხვა ადგილს გამოსაცდელად; ამის ანბავს თავის დროს ვაცნობებთ მკითხველებსა.

ამერიკის ომმა დაამცირა ყველა გამოსავალი, რომელიც მოდიოდა ამ ქვეყნიდგან; ბამბის საქმე სიმინდსაც გარდახდა

ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რომ შარშან ანგლიისათვის გაუტანიათ გურიითგან და სამეგრელოთგან ერთი მილიონის მანათის სიმინდი. ეს დიდი საქმეა ამ მხარეებისათჳს. თუ ესეთი ბაზარი დარჩა იქაურს სიმინდსა საკულაოთაცა, დიდი შემატება უნდა მიეცეს ხალხსა. გურიაში და ოდიშში მრავალი ათასი დღის მიწა, ნაყოფიერებით სავსე, დაფარულია უსარგებლო ტყეების ქვეშ, რომელნიც ციავცხელების მეტს არაფერს ჰმატებენ პატრონებსა, იქაური დიდრონი ტყეები და ხალხის სითხელე იმისი ნიშანია, რომ ფასი არ აქვს მიწის გამოსავალსა და ქვეყანა მოსპობილია ვაჭრობისაგან.

თუ გურიამ და სამეგრელომ ამისთანა მუშტარი დაიმკვიდრა, როგორიც არის ანგლია, მაშინ იმათ ვეღარ შაედრება ვერც ერთი კავკასიის მხარედგანი მიწის გამორჩომითა და სხვა ყოვლისფერის წარმატებითა. კავშირი ამ ქვეყნებისა ანგლიასთან დაბადებულა ამერიკის ომის მიზეზით, რომელიც დღეს თუ ხვალა უნდა დაბოლოვდეს, მაგრამ ვაჭრობას იმ გვარი ხასიათი აქვს, რომ თუ კი ერთხელ საითმე გზა გააკვერინა გაჭირებამა, მერე ძნელათ აიღებს ხელს ამ გზისაგან.

ი. ს.

(შემდგომი მომავალს ნომერში).

### ენდრო კასპიის (თეთრი ზღვის) მხარეს.

ენდრო მალიან ხმარებაში შემოვიდა კასპიის მხარესა. ამ საუკუნის დასაწყისიდამ აქაური ხალხი ეხლაც არ ივიწყებს იმის სახელსა, რომელმაც პირველათ მოიყვანა ეს მცენარე ამ მხარესა და ამითი მისცა სხვათა შორის ღონისძიება სიმდიდრისა. ერთმა ვინმე, სახელათ კალბალაი ჭუსეინ, რომელიც გადმოსახლდა სპარსეთიდამ და დასახლდა დარბანდში, ყველაზედ უწინ დაიწყო ენდროს მოშენება და დაიწყო იმ რიგათ ამ მცენარის მოშენება, როგორც მოჰყავდათ სპარსეთში. ამისმა ამ საქმის ბეჯითობამ და დაუშრომლობამ უჩვენა სხვათაც მაგალითი, რომელნიც ეგრეთვე შეუდგნენ ენდროს მოშენების თავ და რიგსა, ასე რომ ცოტას ხანში კარგა გაცხოველდა ენდროს მოყვანა. შრომა და ბეჯითობა ენდროს მოყვანაზედ კალბალაიასა არ დარჩა უსარგებლოთ მთელის მხრისა და ხალხისათვის. პირველს ხანებში ცოტა არ იყო რომ ენდრო ვერა შენდებოდა მარჯვეთა და ხოლოთ მცოდნე-მეპატრონეებთ მოჰყვანდათ რიგიანათ. ენდროს მოყვანა გაცხოველდა უფრო 1840 წლიდამ როდესაც რუსის ვაჭრებმა შენიშნეს სიკეთე და კარგი ღირსება დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანდის ენდროსა და დაუწყეს უფრო ბეჯითობა ამის მოყვანასა. ამ დროს ეკუთვნის სახელი ალექსანდრეს ვაშრისა და ფაბრიკისა ივანე ფემერდორის ბარანოვისა. თუ რა განვლუნა მოახდინა ამან ენდროს მომრეების გაცხოველებაზედ ჩვენ ამაზედ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

მეორე მარჯვე დრო ენდროს მომრებისათვის იყო დაღისტნისა და ჩაჩნის დამორჩება. ამ დრომდე იმ მხარეს სადაც აქამდინ ისე უწყალოთ იღვროდა სისხლი, ახლა მოჰყავთ სხვა მოსავალს შორის დიდძალი და მშვენიერი ენდრო.

ეხლა ენდრო მოჰყავთ დიდძალს ალაგებში კასპისა მხარესა, ყუბინის წყლიდამ დაწყობილი, ყუბის უეზდში, ამას უჭირავს მთელი, ალაგები ფოჩეს გზის ქვეითა ეწინდელი ძეძკურის სამადლო, კადადის სამურსა და არის კასიელი სადერბენდოში ყურიანის სახანოში, ქაიტაგში თაბასარანში და მიდის დომადოვლარამდის.

ამ ალაგებში კასპიის მხარესა ენდრო არის უპირველესი სამეურნეო და ქონება აქაურის ხალხისა. სხვა მხარეებშიც კარგა ბლომათ მოჰყავთ შან სახმარებლათა და გასასყიდათაც: მაგრამ ჯერ ისე არ არის გაძლიერებული და არც ისეთი გასავალი აქვს, როგორც დარბანდისა და ყუბის ენდროსა. რადგანაც კასპის მხარის ენდრო უფრო კარგი და უფრო გამძლეიც არის სხვა ენდროებზედა. ამისათვის ჩვენ ვეცდებით რომ ავსწეროთ: ან თუ რათ მოდის ასე კარგი აქაური ენდრო, ან რა ღონისძიებასა ჰხმარობენ ამის სიკეთისათვის, ან როგორ უფრო ადვილია და კარგი ამის მემუშავება. როდესაც ჩვენ ვიწყობთ ენდროს მოყვანის აღწერასა, კასპის მხარესა, მაშინ ვეცდებით უჩვენოთ სხვა რიგი ღონისძიება რომელსაცა ჰხმარობენ ევროპაში, მეტადრე ავინიონში, რომელიც არის გაძლიერებული თავის ბევრის ენდროს მოსავლითა; და ვეცდებით უჩვენოთ ნაკლებულება, რომელიც აქვთ ჩვენს ენდროს მომყვანებსა.

ნიადაგი. იმ ალაგებში, სადაც კასპის მხარეს მოჰყავთ ენდრო მიწის ნიადაგი არის სხვა და სხვა ნაირი: აქ ენდრო მოჰყავთ ყუბის უეზდის ლამიანს ალაგებშიაც სა დარბანდის თიხიანს მაგს მიწაშიაც გაჯიანს მიწებშიაცა, მაგრამ რომელი უნდა სჯობდეს ამ მიწებში ენდროსათვის, ან რომელი უფრო აძლევს სამღებრო ფერსა? ამის შეტყობა არ არის ძნელი. გამოცდილი ენდროს მომყვანები ჩვეულობენ სუბუქს თიხანარევს მიწას, რომელიც არის მოუღლელი და შეიცავს ორგანიულს ნივთიერებებს და რომელიც არის ბუნებითვე ცოტა დაქნილი ამართული ალაგი რომ სარწყავი წყალი კარგათ გაუვიდეს. ამ გვარი მიწა აძლევს დიდს ნაყოფსა თავის პატრონსა და არც უფრო ბევრი ჯაფა და მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელი უნდა. (*) ყნდროსათვის უფრო ცუდ მიწათ სოფლიდან მაღარს ნიადაგსა, სადაც მოდის გამხმარი ბალახი: ამისის მეპატრონეებს უნდა დიდმალი ჯაფა და ხარჯი, რომ- [illegible] არ უნდება [illegible] ივე არ ვარგა ყნდროსათვის შეწყრობიანი ალაგი: ამგვარს ალაგებში სინოტივესაგან უხდება ყნდროს მორი--ლპება და მოსავალთა ფუჭდება.

თუ კარგი სასტიკათ შეუდგა ნიადაგის დაფასებას ყნდროს მოყვანისათვის საწყის მოკასრულნო, ამაში ბევრი საგანი მნელი ასასხნელია. ჩვენ მაგალითად ვიცით, რომ დასაბანდის გარემემო, კორნეტში, კორლიხანს, თიბასარანში, ქვემო ყაიდალს, ქჯუსხა და ბემლიში და ყურების უეზდში მოდის ფრიად ჩინებული და სხვათა ბევრით უმჯობესი სამღებრო ფერითა და მოსავლით ყნდრო; ეგრეთვე ვიცით რომ ყუბინის მდინარის მარჯვენა მხარეს ძალიან ცუდი ყნდრო მოდის და მარცხენა მხარისა კი გათქმულია მთელს ვაჭრობაში: მაგრამ რო გავსინჯოთ მიწამაკი თითქმის ვერაფერს განსხვავებას ვერა ვპოვებთ იმ მიწებისაგან სადაც ვერ მოდის როგიანი ყნდრო. სოლოდ სიმიკური დახსნა (ანალიზი) და გამოკვლევა ნიადაგის ფიზიკურის თვისებისა, სადაც ყნდრო მოდის გვგონია გზას ამ საგნის ასახსნელად და გაჩვენებთ ხასიათს და გარჩევას ამ მიწებში: ჩვენ იმედი გვაქვს რომ ცალკე სტატიაში წარმოვდგინოთ ანალიზი რომლისამე ნიადაგებისა, რომელნიც ირიცხებიან საუკეთესოთ ყნდროსათვის.

მიწის მომზადება. ყუბის უეზდში და ზოგიერთა ალაგებს დერბენდის უეზდშიაც ახალს ყნდროს სთესენ უფრო ყამირს ალაგებზედ, სადაც ვინ იცის რამდენი საუკუნე სულ ტყე ყოფილა; ამის გამო მიწის პატრონი ჯერა ცდილობს რომ მიწა გასწმინდოს ჯაგებისაგან. გამოცდილი საქმეა, რომ ამისთანა ალაგებში რამდენსამე წელიწადს ფრიად კარგი მოსავალი და ჩინებული სამღებროიანი ყნდრო მოდის.

ტყის ჩეხას და ჯაგის ერას იწყებენ ხოლმე შემოდგომაზედ როდესაც ჩამოდიან მთიდამ ლეკები, რომელნიც არიან უფრო ყნდროს მუშანი. ამდროში უფრო იაფია ხოლმე მუშა ხელი. ამ საქმეში გამოცდილი ლეკები ძალიან მარჯვეთა და წმინდათ სწმენდენ მიწას ფესვებისაგან ცულით და დანებითა, რომელსაც ისინი სმართობენ საჩეხათ და ამოსაწმენდათ. ერთის სიტყვით ყველა საქმის გამოსაყენებელია ასოების მესამეებელათ.

---

(*) ყნდროსათვის რომელიც მიწა ვარგის იმ მიწაზედ მოდის უფრო ამწვანდა ბალახი, და ეკლიანი ჯაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ტყესა და ჯავს მოსჩეხენ იქვე ალაგობრივა სწვამენ, და მასუკან ნაცარსა ჰფანტვენ მთელს მიწაში, თუმცა მეტა მალიან უჭირთ ხოლმე ენდროს ბუდვის დროს, რომელსაც უნდება დიდძალი შეშა. ეს ჩვეულება მაშინ იყო კარგი, როდესაც ენდროს მინდვრებს გარს ერტყათ ხოლმე თვალთუწვდომი ტყეები, მაგრამ ესლა, როდესაც ტყე გაიჩეხა და მეტად მალიანი საჭიროა მეპატრონეებისათვის უჯობესი იქნებოდა, რომ მინდორში შეშის დაწვა სა-გის მან მოეხმარებინათ მარს ტყეების სა-რეულის მაგიერად. დესაბუნდო მოუგვა ენ-დრო დიდი ხნის უხმარებელს მიწებშიაცა, რომელიც უსხოვარ დროითგან ხელით სახაგრათ ყოფილა. მაგრამ ყველა ტყიან ალაგს აშკობინებს.

პირველს წელიწადს, როდესაც მიწა გაიწმინდება, ამ მიწაში სთესენ ბოსტნეულსა და უფრო ნესვსა და საზამთროსა, რომელიც აძლევენ ხოლმე პატრონს იმ ხარჯსა, რაც იმას ამ მიწის გაწმენდაზედ მოსვლია: ესენი აუხვევრებენ ნიადაგსა და სწმენდენ სხვა და სხვა მავნებელის ნივთეულებისაგან. მაგრამ ეს ანგარიში ყველას არ უჭირავს. ღონისძიება ენდროს მომუშავებისათვის და მიწის გაწმენდა იხმარება უფრო ღონით მეპატრონეთაგან; შეძლებული მეპატრონეები კი, რომელნიც ყოველს წელიწადს სთესენ რამდენსამე ხოდაბუნებს ენდროსა, არა აქვთ შეძლება, რომ ამ რიგს მიჰყვნენ, და პირდაპირ მოჰყავთ ენდრო. აგისიონში ენდროს მომუშავების დროს ნიადაგის მომზადებაზედ აქვთ მიღებული დიდი ყურადღება და მეცადინეობა, ასე რომ იმ მიწებში, სადაც ჰსთესენ ენდრო და მასუკან ჭირნახული (პურეული) მინამ კიდევ ენდრო დაითესებოდეს, მანამ ჰსთესენ დიდმოყვიან მცენარეებსა მაგ. კარტოფილსა და რამდენჯერმე ოხამენ.

კაპიტის მხარეებსა, როგორათაც ძველი ენდროს გასხლებისათვის მარტივ ახალის მომყნებისათვის. მიწას (ნიადაგს), შემდგომიდამვე ხნამენ — ეს ისე მაჩნიათ როგორც აუცილებელი საქმე ენდროს სიკეთისათვის ჯერ ერთი ამისათვის რომ მოხნული მიწა ზამთრის ყინვებისაგან აფხვიერდება და მეორეც ეს რომ ჰპავის მახუზისაგან საჭიროა რომ ზამთარში დაითესოს.

ენდროს მოყვანისათვის იხმარება იარაღი: გუთანი და ბარი.

ენდროს მინდვრები ანუ ალაგები სადაც მოჰყავთ ენდრო იყოფა ავის ზომიერებით ორს რაიონსა: სადარბანდო, რომელიც წარმოადგენს რაიონს მცირე საპატრონოებისას და ყუბის უეზდი, სადაც არის ვრცელი პლანტაციები და დიდი საპატრონოები. ერთის საზოგადო მეხედვით თითქმის რომ ორსავე მენისვევში ენდროს მოყვანისათვის ერთსა და იმავე ღონის მიებან

ჰხარობენ; მაგრამ იქვე თუ ჩაიცქერდა კაცი, ბევრში იპოვება განრჩევა;- ერთის სიტყვით პირველათვე, როგორც შეიძლება შეატყოს კაცმა გარჩევა, არის- სხვა და სხვა რიგი შემუშავება ნიადაგისა.

დარბაზში, სადაც ენდროს ალაგები არის ნაწილ ნაწილებათ დაყოფილი, ასე რომ ექვსი დღის ენდრო მაჩნიათ. დიდ ალაგათ მუჰატრონზე ერთის ანუ ორის კაცის შემწეობით, ამუშავებს მიწასა და არა ჰზოგავს შრომასა მისის აყვავებისათვის რომელიც აძლევს ღონისძიებას თავის საზრდოების დაკმაყოფილებისათვის.

ამასთან კარგათ შემუშავება ქართლის ნიადაგისა უფრო ამისათვის არის საჭირო რომ ნიადაგი იმისთანა თვისებისაა არის და არდა. ამისა უფრო კარგს მოსავალს იძლევა ამიტომა რომ თიხიანს ნიადაგში, თუ კარგათ ღრმათ არ არის აფხვიერებული მიწა ენდრო ვერ იდგამს ფესვს კარგათ და ვერა მრავლდება. ამისგამო ამ ენდროს ალაგებში ჰხმარობენ ამ ღონისძიებასა აფხვიერებენ ნიადაგს ბარებით --ეს ღონისძიება იხმარება როგორც ახალს საენდროვე მიწაში, ეგრეთვე დიდის ხნის ენდროთი ნათეს მიწაში.

ბარს ანუ ისლირს, რომელსაც ჰხმარობენ შემუშავებისა, ამოღებისა და სხვა ენდროს მოვლის საჭიროებისათვის, აქვს ირიბი მოყვანილება და არაფერი განსხვავება არა აქვს ბარეთანა, რომელიც ჩვენში ყოველგან ბაღებში იხმარება. ენდროს მოჰყვრებსა ბარით შემუშავების დროს, როდესაც მოშენება (პლანტაცია) იწყობა ჰკაფვენ კვალებათ სიღრმით **28** დამ **52** არშინამდის და სიგანით **1**- დამ **2**- არშინამდის; კვალს შუა აგდებენ ალაგს სიგანით **5**--**4** არშინამდის; საიდამაც იღებენ მიწასა და აყრიებენ სარეველს სადაც უნდა გაიდეს სარწყავი წყალი; ყველა კვლები ერთმანეთზედ არიან დაშორებული ან ბილიკებით და უფრო სარევებით.

როდესაც კვლებსა ჰბარვენ ამ ნაირნაირ. ყოველის მხრით ცდილობენ რომ რაც შეიძლება დიდს კოშტები დააფხვიერონ და გაჰსწმინდონ ნიადაგი სხვა და სხვა ბალახის მირებისგან. ქვიდამ და ერთის სიტყვით ყოველისფრისაგან რაცა დაუშლის მოსვლას მოშენებასა. კვლები იბარება **10** დამ **12** ვერშოკამდის.

ბარის უმზღი ნიადაგსა ჰხნამენ მარის გუთნებით რომელიც **6** ვერშოკის სიღრმეზე იღებს ბელტსა. ეს იარაღი (გუთანი) ჰგავს ნამდვილათ იმ გუთნებსა, რომელიც მთელს მხარეზედ იხმარება და რომელსაც აქვს პირდაპირ ამართული საბელტე ფიცრული ბრთა, მოკაული თითონ გუთანი და უნდება ექვსიდამ რვაულამდის საქონელი. მიწას ერთხელ გახავხულზედ და წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს შემოდგომაზე იმამენ; როდესაც ენდრო გაიზრდება მაშინ უკეთებენ კვლებსა. მცონია უფრო მეტის ენდროს სიკეთისათვის არ იქნეს ურიგო, რომ რამდენისამე ხნის განმავლობაში შემდგომ მოხვნისა კიდევ აითოს მიწა ანუ სხვა ღონის ძიება ისმარონ მიწის აფხვიერებისათვის. თუკი აინიონის ნაჭანჭყრობარევს ალაგებს, რომელიც არის საშინელი სუმბუქი და ყოფილა რამდენსამე წელიწადს ჭარნახულით დათესილი, იმამენ ორჯერ--სამჯერა და ჭკიდამენ ამას საჭიროთა --რაკითხა ენდრომ იმკა უფრო საჭირო უნდა იქნეს ქუბის ნიადაგისათვის რომელიც არის ჯერ ახალი შეუხებელი ბევრით იქაურს მიწაზედ მაგარი და გაუჯდომელი.

პატივის მიცემა. ჩვენში არსად არ აურიან პატივსა ენდროს და ბევრნი კიდეც ამტკიცებენ ვითომც პატივი ჰსწყენობდეს ენდროსა, ამით რომ მარს უშვამსო. ეს აზრი მთელს მხარეზედ ქვეყანას არის მიღებული, ამიტომა რომ ერთი და ორი გამოცდა არ მოხდენია; მაგრამ ეს აზრი საშინელი უსუსური და უსაფუძვლოა. ერთის სიტყვით პატივის მიცემლობით იღლება მიწა და ალარ იძლევა იმისთანა მოსავალსა, როგორათაც პირველათა, რომელიც კიდეც დაეტყო ესლავე ჩვენებურს ენდროს მოსავალსა.

—ოცდა აია წელიწადი არცკი იქნება ჯერ რაც ჩვენში ენდრო მოჰყავთ და ამ მოკლეს ხანში მიწას მალიან მოაკლდა თავის ძალა და ნაყოფიერების ღონე; რომელიც ალაგები უწინ გათქმულები იყვნენ თავისის მოსავლითა, ეხლა იმდენს მცირეს იძლევიან რომ ხარჯი და შრომა პატრონისა ალადგინონ. მაგალითათ, დურბენდის მახლობლათ, სადაც პირველათ დაიწყეს ენდროს თესვა ალარ მოდის იმისთანა მოსავალი, როგორც ახლად დაჭერილს მხარეს, თაბასარანში, უვდალში, სადაც ხოლოდ ამ ცოტა სანებში დაუწყეს თესვა ენდროსა; ასე გამინჯო ქუბის ბევრს ალაგებშიაც კი, სადაც დაიწყეს **1840** წლიდამ ენდროს თესვა, დარუანდზედ უფრო კარგათ მოდის. ეს მაგალითები აშკარათ ამტკიცებენ, რომ გამოფიტა მიწას ის ძალა, რაც მანამ ჰქონია ბუნებისაგან მიცემული, და თუ არ მეუწყეს ხელი და არ მისცეს პატივი, სხვა მიუგებსაც ის დღე დაადგებათ, რაც ამ ძალა გამოცლილს და მოღლილს მიწებსა. გარდა ამისა ეს საკმაო არ არის მიწისათვის რომ ახოებში მონაჩეხს ტყესა სწვენ და ურევენ მიწაში ეს პატივი ძალე ელევა მიწასა.--

(შემდგომ ნომრამდის.)

Одобрено цензурою. Тифлисъ. 15 Февраля. 1863 г.

რედ. კეკელიძე